



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №135/19
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 25 ივლისის №135 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 26 ივლისის №355/135-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 10 სექტემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინებების კანონიერებას ხდის სადავოდ. ასევე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების განხილვის ვადა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2019 წლის 12 ივლისს სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სესხისა და იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების დამატების, სააღსრულებო ფურცლის, ცალმხრივი გარიგების (ხელწერილი-თანხმობის) ბათილად ცნობის და ქონების იპოთეკის უფლებიდან გათავისუფლების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --. 2019 წლის 15 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე. 2019 წლის 19 ივლისს მოსარჩელე მხარემ ჩაიბარა 2019 წლის 15 ივლისის განჩინება.

2.2. 2019 წლის 19 ივლისს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სესხისა და იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების დამატების, სააღსრულებო ფურცლის, ცალმხრივი გარიგების (ხელწერილი-თანხმობის) ბათილად ცნობის და ქონების იპოთეკის უფლებიდან გათავისუფლების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --. 2019 წლის 22 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. 2019 წლის 26 ივლისს მოსარჩელე მხარემ ჩაიბარა 2019 წლის 22 ივლისის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები. აღნიშნული მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს „კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“ და „მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევებში, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე, მას ასევე უარი უნდა ეთქმოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების მიღებაზეც, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია ყოველ კონკრეტულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. შესაბამისად, რადგან მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე მსჯელობა.

ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებაზე, რომ მოსამართლემ დაარღვია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების განხილვის ვადა უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება სასამართლოს წარედგინა 2019 წლის 12 ივლისს და 19 ივლისს, ორივე შემთხვევაში პარასკევ დღეს, შესაბამისად, განჩინებები მიღებულია ორშაბათს, მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევას.

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარჩელის განსახილველად

მიღების/მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა:

-- -- №135 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი